



**თანამედროვე
უკრაინელი
პოეტები**

**Сучасні
українські
поети**

თანამედროვე
უკრაინელი პოეტები

Сучасні українські поети

კრებული მომზადდა და გამოიცა რუსეთის აგრესიის წინააღმდეგ
მებრძოლი უკრაინისა და გმირი უკრაინელი ხალხის მხარდასაჭერად

კრებულის გაყიდვიდან შემოსული თანხა სრულად გადაირიცხება
უკრაინელი ხალხის დახმარების ფონდში

კრებული შეადგინა შოთა იათაშვილმა

რედაქტორი მაია ალუდაური
დიზაინერი იულია კირაკოსოვა
ტექნიკური რედაქტორი ნატალია ახვლედიანი
დამკაბადონებელ-დიზაინერი სოფიო ვაშაკიძე
პროექტის მენეჯერი ნია ნამგალაძე

© გამომცემლობა პალიტრა L, 2022

ყველა უფლება დაცულია

მისამართი: თბილისი, იოსებოძის ქ. 49

☎ 238-38-71

✉ book@palitra.ge

🌐 www.palitra.ge

ISBN 978-9941-35-171-6

დაიბეჭდა შპს „კოლორში“

თანამედროვე უკრაინელი პოეტები

Сучасні українські поети

სერჰი ჟადანი

ლიუბა იაკიმჩუკი

ბორის ხერსონსკი

ჰალინა კრუკი

მარიანა კიანოვსკა

ვასილ მახნო

ანდრი ლიუბკა

ანასტასია აფანასიევა

თარგმნა შოთა იათაშვილმა
ПЕРЕКЛАД ШОТА ІАТАШВІЛІ

ეს კრებული უცებ მომზადდა და დაიბეჭდა. იმ მძლავრმა ემოციურმა ტალღამ, რომლის ქვეშაც მოგვაქცია რუსეთ-უკრაინის ომმა და უკრაინელთა შეუპოვარმა ბრძოლამ სამშობლოს დასაცავად, გააჩინა მისი გამოცემის სურვილი.

კრებულში შესული ლექსები წლების განმავლობაში ითარგმნებოდა, რისი მიზნებიც უკრაინული პოეზიისადმი ჩემი დიდი სიყვარულია. ეს სიყვარული კი გააჩინა და თანდათან გაამძაფრა ხშირმა და უშუალო კონტაქტებმა უკრაინელ პოეტებთან მას შემდეგ, რაც 2009 წელს პირველად მოვხვდი კიევში, პოეტურ ფესტივალზე „კიევსკიე ლავრი“, რომელზეც, ჩემთვისვე ძალიან მოულოდნელად, ფესტივალის მთავარი პრიზი მომენიჭა. ამის შერე არაერთხელ ვიყავი კიევში, ლვოვში, ოდესაში, კოქტებელში – არაჩვეულებრივი პოეტური ისტორიის მქონე ყირიმის კურორტზე – და, ცხადია, რომ უკრაინელი პოეტების სამეგობრო წრეც სულ უფრო და უფრო ფართოვდებოდა. ხშირად გვინევდა გვერდიგვერდ სხვადასხვა სალამოზე გამოსვლა და მათი პოეზიის ხასიათი ჩემთვის სულ უფრო გასაგები და ძვირფასი ხდებოდა. ისინი თარგმნიდნენ ჩემს ლექსებს და 2016 წელს თავიანთ ენაზე ჩემი კრებულის კი გამოსცეს. მეც ნელ-ნელა მოვუსინჯე კბილი მათ პოეზიას და ვცადე იმის გადმოქართულება, რაც განსაკუთრებით ახლოს იყო ჩემთან. ამ პროცესს ხელი შეუწყო თბილისის საერთაშორისო ლიტერატურულმა ფეს-

ტივალმაც, რომელიც 2015 წლიდან იმართება და რომელზეც ყოველთვის ვინვევდით ერთ შესანიშნავ უკრაინელ პოეტს, მის ტექსტებზე მუშაობის მოვალეობას კი თითქმის ყოველთვის საკუთარ თავზე ვიღებდი ხოლმე.

ასე თანდათან დამიგროვდა თანამედროვე უკრაინელი პოეტების თარგმანები. ამ დღეებში კი, როცა ისედაც უკრაინის ქალაქებში გაფანტული ჩემი მეგობრები მიდგას გამუდმებით თვალწინ, როცა ისედაც გაუჩერებლად შევდივარ მათ ფეისბუკ-გვერდებზე და ვამონშებ, ვინ რას წერს, სად და რა მდგომარეობაშია, და როცა ისედაც, რამდენადაც შემიძლია, ვამხნევებ და სიყვარულის დიდ დოზებს ვუგზავნი მათ, ბუნებრივია, რომ გულმა ისევ მიმაბრუნა მათი პოეზიისაკენ და ისევ მათარგმნიდა მათი ლექსები – ამჯერად ისინი, რომლებშიც ჩანს ომი, 2014 წლიდან მათთვის ყოველდღიურობის ნაწილად ქცეული. კრებულის იდეაც ამან გააჩინა – იმის გააზრებამ, რომ ამ თარგმანებისგან შეიძლება შეიკრას ერთი პატარა კრებული, როგორც ლამაზი საჩუქარი განსაცდელში მყოფი მეგობრებისათვის, და როგორც ლამაზი საჩუქარი ქართველი მკითხველისათვის, რომელმაც ამ დღეებში განსაკუთრებით შეიყვარა უკრაინელი ხალხი ამ ბრძოლაში გამოჩენილი გმირული ბუნების გამო, და, აქედან გამომდინარე, დღეს ბომბებქვეშ მოხვედრილი თუ იარაღით ხელში საკუთარი ქალაქების დასაცავად მდგარი პოეტების სტრიქონები მისთვის ბევრის მთქმელი და მაჩვენებელი უნდა იყოს.

ერთი სიტყვით, აგერ, აქაა ეს წიგნი, სიყვარულითა და ერთგულებით აკინძული, რომელიც მრავალფეროვანი და

ძალიან ძლიერი თანამედროვე უკრაინული პოეზიის სახეს მეტ-ნაკლებად მაინც გაცივენებთ, მიუხედავად იმისა, რომ ბევრი კარგი უკრაინელი პოეტი მასში ვერ მოხვდა. დარწმუნებული ვარ, ამ საქმის გაგრძელების შესაძლებლობა კიდევ იქნება, ოღონდ მას შემდეგ, რაც დასრულდება ეს ომი, დასრულდება მართალი ადამიანების გამარჯვებით და იმ სიხარულის დაბრუნებით, რომელიც მათში უზომოდ ფეთქავს და ყველაზე მძიმე დღეებში დაუჯერებელ სიმტკიცეს აჩენს.

დიდება უკრაინას!

შოთა იათაშვილი



სერჰი ჯადანი

Sergiy Zhadan

დაიბადა 1974 წელს, ვოროშილოვგრადის, ანუ ლუგანსკის ოლქის ქალაქ სტარობელსკში. სწავლობდა ხარკოვის პედაგოგიურ ინსტიტუტში და შემდეგ იქ გადავიდა საცხოვრებლად. ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული უკრაინელი მწერალი და საზოგადოებრივად აქტიური ფიგურაა. 2014 წელს იყო ევრომაიდანის ერთ-ერთი აქტიური მონაწილე და მის მოწინააღმდეგებთან შეტაკებისას დაშავდა. წერს პოეზიასაც და პროზასაც, თარგმნის სხვადასხვა ენიდან (პაულ ცელანი, ჩარლზ ბუკოვსკი და სხვები). ჰყავს თავისი მუსიკალური ბენდიც „ჯადანი და ძაღლები“. ქართულად ნათარგმნია მისი პოეზია (ზვიად რატიანის მიერ) და სამი რომანი, „ვოროშილოვგრადი“ (2010), „მესოპოტამია“ (2014) და „ინტერნატი“ (2017). 2015 წელს იყო თბილისის I საერთაშორისო ლიტერატურული ფესტივალის მონაწილე. ამჟამად ხარკოვშია და იარაღით ხელში იცავს თავის ქალაქს.

კრებულის მომზადების პერიოდში კოლონეთის მეცნიერებათა აკადემიის ლიტერატურულმა კომიტეტმა იგი ნობელის პრემიაზე წარადგინა.

• • •

ერთი ნაცნობი მოხალისედ წავიდა ომში
და ნახევარი წლის შემდეგ დაბრუნდა უკან.
სად იყო – გაუგებარია.
რისი ეშინია – არ ლაპარაკობს ამაზე.
მაგრამ რაღაცის ეშინია.
შეიძლება მოგეჩვენოს,
რომ ყველაფერს უფრთხის.

როცა მიდიოდა, ნორმალური იყო.
თუმცა კი ძალიან ბევრს ლაპარაკობდა.
ყველაფრის შესახებ ქაქანებდა,
რაც კი მოხვდებოდა თვალში.

მაგრამ აი, დაბრუნდა
სულ სხვანაირი, თითქოს
ძველი ენა წაართვა ვიღაცამ,
ახალი კი სანაცვლოდ აღარ დაუტოვა.

და ზის ახლა დღეთა განმავლობაში საწოლზე
და საკუთარ თავში ჩაბუდებულ ჭინკებს უსმენს.

პირველი ჭინკა შეურიგებელია,
ცეცხლდება და სასფელს ითხოვს
ყველა ცოცხალი არსებისათვის.
მეორე დამთმობია.

პატიებაზე ლაპარაკობს,
ჩუმად მეტყველებს,
შავი მიწით მოთხვრილი ხელებით
მის გულს ენება.

მაგრამ ყველაზე უარესი მესამე ჭინკაა.
ის ორივეს ეთანხმება,
სიტყვას არ უბრუნებს არცერთს.

სწორედ მისი ხმის გაგონების შემდეგაა,
რომ იწყება თავის ტკივილი.

* * *

აი, ასეთი ოფხანი აქვთ ახლა.
აი, ასეთი ოფხანური საუბრები აქვთ.
შეთანხმდნენ, არ იჩხუბონ.
რათა სროლები ექვეშ მოყოლილებმა
ეს აგვისტო რამენაირად გადაიტანონ.

ამიგომ

პოლიტიკაზე არ ლაპარაკობენ,
რათა არ იჩხუბონ,
ეკლესიაზე არ ლაპარაკობენ,
რათა არ იჩხუბონ,
ღმერთზე არ ლაპარაკობენ,
რათა არ იჩხუბონ.

არ ლაპარაკობენ ნათესავეებზე,
რომლებიც წავიდნენ.
არ ლაპარაკობენ მეგობრებზე,
რომლებიც დარჩნენ.
არ ლაპარაკობენ იმ ბიჭზე მოპირდაპირე სანლიდან,
რომელიც ომიობს.

იხსენებენ მეზობელს.
მეზობელი შეიძლება.

მეზობელი მოკვდა.

მეზობელი ეცოდებათ.

თუმცა ღმერთიც მოკვდა.

მაგრამ ის რატომღაც არ ეცოდებათ.

ოდნავადაც არ ეცოდებათ.



ლიუბა იაკიმჩუკი

Люба Якимчук

დაიბადა 1985 წელს, ლუგანსკის ოლქის ქალაქ პერვომაისკში. პოეტი, კინოსცენარისტი, დრამატურგი და მთარგმნელი. ამჟამად ცხოვრობს კიევში.

ავტორია პოეტური კრებულების „როგორც მოდა“ (2009) და „დონბასის გარგარი“ (2015). პირველი დაჯილდოვდა სამი სხვადასხვა ეროვნული პრემიით, ხოლო მეორე – ნიუ-იორკის International Poetic Award of the Kovalev Foundation-ის მიერ და მოხვდა Forbes-ის რეიტინგში „10 საუკეთესო უკრაინული წიგნი ომზე“.

თანასცენარისტია ფილმებისა „სახლი სიტყვა“ (უკრაინა) და „Some Men Must Die“ (შვეიცარია-უკრაინა). მისი პიესა, „კედელი“ იდგმება ივან ფრანკოს სახელობის ეროვნულ აკადემიურ თეატრში. მისი ლექსები ნათარგმნია 18 ენაზე, მათ შორის ინგლისურად, გერმანულად, ფრანგულად, შვედურად, რუსულად და ივრითზე. 2021 წელს იყო თბილისის VI საერთაშორისო ლიტერატურული ფესტივალის მონაწილე.

გაუპარსავი ფენი

გავიპარსე ერთი ფენი, მეორე კი გადამავიწყდა
გამოვიპრანჭე მექანიკურად
თეთრი კოფთა
მოკლე კაბა
შავი საყურე
წითელი ტუჩი
და წავედი სამუშაო შეხვედრაზე
დავფექი და გადავიდე ფენი ფენზე –
გაპარსული გაუპარსავზე

– უი! შენ ხომ ფემინისტი ხარ! – მეუბნებიან, –
და განზრახ არ გაიპარსე, ვხვდებით, ფენები
კოლეგებო, გთხოვთ რომ იყოთ ობიექტურნი
აგერ მარჯვენა გაპარსულია, მარცხენა კი – არა, ასე რომ
ვერ იტყვით რომ
ორივე ფენი გასაპარსია
მარცხენას ბეწვი მოსდებია
მარჯვენა კი პრიალაა და სალუქია
ერთი მართლაც ფემინისტური, ბანჯგვლიანია
ხოლო მეორე – პატრიარქალური – აბრეშუმით

– მათი ასე შეთავსება სად გაგონილა? – აღშფოთებას
გამონატავს ქალების გუნდი
– გარეთ ასე სიარული სად გაგონილა? – არ აკლებენ
აღშფოთებას სხვა ქალბატონებიც

სახლში ვბრუნდები და ვუყვები ჩემს მამაკაცს ამის შესახებ
 თან ერთი ფენი მეორეზე მაქვს გადადებული
 ფემინისტური პატრიარქალურზე
 მერე პირიქით
 პატრიარქალური ფემინისტურზე
 ჩემი კაცი კი მიცუცქდება დაბლა, ფენებთან
 კოცნის მათ და თან ჩამჩურჩულებს:

„ჩემო კარგო, მე მიყვარხარ
 ამ ცხოვრების ხარ შენ არსი
 შიშველიც და ტანჩაცმულიც
 გაპარსულიც, გასაპარსიც“

როგორ ავაწყოთ ქალი

სამეცადინოდ

ფერ მიყიდეს პაწაწინა პირამიდა და
კონუსს ვაცვამდი სწვადასწვა რგოლებს
წითელი, ყვითელი, მწვანე, წითელი...
შემდეგ კონსტრუქტორს ვაწყობდი ხოლმე -
სახლებს, მანქანებს და ერთ ტანკს კიდევ
ამის მერე კი რადიომიმღები დავუშალე ბაბუას და
ავაწყვე ისევ:

არაფერი დამიკარგავს

არც გამიტენავს

და რათა სივრცე შემეგრძნო კარგად
მთელ ქალაქს ფენით შემოვუარე
ხოლო მერე წრე დავარტყი ველოსიპედით
წითელი, ყვითელი, მწვანე, წითელი...

შემდეგ ვსწავლობდი ანატომიას:

ძვლები, სახსრები,

კუნთები, გრძნობათა ორგანოები

და ორგანო ემოციების -

ტვინს ვგულისხმობ, ის არ გეგონოთ რაც გაიფიქრეთ

ეს ყველაფერი კი იმიტომ რომ

გამართულად

ლამაზად, ზუსტად

დავწოლოდი

ქალს ზემოდან ისეთნაირად

რომ არაფერი არ გამეტენა

დონბასის გარბარი

(პოემის ფრაგმენტები)

იქ, სადაც გარგარი აღარ იზრდება,
იწყება რუსეთი

სახის ნახშირი

ზღვის ლურჯი თვალით
და სელის თმით
განუნებულით
დგას მაღაროში
მუხლებამდე სწვდება წყალი და
დროშა კი არა
მამაა ჩემი.

პირისანე მიუგავს ნახშირს
მინდვრის შვიტას
წარღვნამდელი ანაბეჭდით
გაქელილით საუკუნეთა განმავლობაში
ზღვას ამყარებს მარილი
ხოლო ბალახს – ნახშირი
მამა კი ვაციწვერასავით
ჭალარავდება
მამაკაცია
მამაკაცები კი არ ცირიან –
რეკლამაში ასე ამბობენ
თუმცა მაღარომ მის ლოყებზე
გააჩინა ბევრი თხრილი
და ნახშირი მოპოვებული
მისი სახიდან
დაიწვა დონბასის ღუმელებში
და კოცონებში

სადღაც მაღლა
 მიწაყრილია
 აბზეკილა მიწაყრილი
 როგორც სფინქსი როგორც დრაკონი.
 რომ დაიცვას საკუთარი გუგანჰამონი

და მხოლოდ მე ვარ რომელმაც ვიცი
 რომ მიწაყრილი შუაგულ სტეპში
 საცობებია იმ ბოთლების
 მამა რომ სვამდა
 და ფერფლია
 მოწეული სიგარეტების

მკერდის მიწაყრილები

წვრილი ფაგნარი -

ეს ფანქრებია სხვადასხვა ფერის

ჩარჭობილი გზის გაყოლებაზე

ზოგჯერ „კრაზი“ ჩაივლის ხოლმე

სტეპს გადაკვეთს და დაზოლილი ცყისაკენ მიდის...

დონბასი დონბასი

უშიშინებს მზეს მილი ყურში

შენ კი გაცვია

სპეცტანსაცმელი

და ნახშირის გაყიდვების აგენტივით

დგახარ და აფრქვევ

სურნელს სხვადასხვა რეაგენტების:

მე ქალი ვარ

წყალი ჩემი სტიქია არის

ეს არაა მხოლოდ ჩაის მოდუღება

ან ჭურჭლის რეცხვა!

მართალია მაღაროში არ მიჰყავთ ქალი

მაგრამ მიჰყავთ ფაბრიკაში

რომელიც ნახშირს ამუშავებს

მე ვრეცხავ ნახშირს

ისე თითქოს ვიბანდე ნაწნავს

ვაქუცმაცებ ნახშირს თითქოს

კარტოფილს ვჭრიდე

ან ხორცს ვატარებ

სორცსაკეპში ფაბრიკის და
 ზეთით ვანელებ
 ანუ ზემოდან ვასხამ ამ ბორშს
 ჩემს რეაგენტებს

მისმინე, ეს კომპლიმენტები
 დონბასელი გოგონების სილამაზეზე
 სულაც არაა აზრსმოკლებული
 თუკი ნახავ ამ ფაბრიკა-ქარხნებს
 თუ ჩაეშვები მაღაროებში
 თუ იბანავებ შხამიან წყლებში
 სალექარების
 სადაც ამ ჩემი ბორშის სითხეს
 ასხამენ ხოლმე
 თუ აძვრები მიწაყრილზე
 და მის ქვეშეთში გადაეშვები
 უფრო სწორად – მის სწორ ნაწლავში
 ხოლო მანამდე
 დაინახავ გარგარებს – ნაზებს და მოთეთროებს
 შემოდგომით კი
 ცას გაკიდული ვაგონეტების სიმაღლიდან –
 ყვითელთმიანებს

ბარბარები ჩაჩქანებში

დაჭკენ დონბასის გარგარები
ცის ელფერი უთვალავი მოედოთ კანზე
გარგარებმა ჩაჩქანები ჩამოიფნატეს
და გაზაფხული წავიდა უკვე

ოცნი იყვნენ
სუყველანი გულადები და
ოცდაათ წლამდე ასაკის ყველა
მიწასთან რომ გასწორდნენ გახდნენ
კვლავ ოცი თუმცა
ამ ცოლობის გამსწორებელი არავინ დარჩა

ფოლადის ცროსზე
როგორც ძაფზე ისე ეკიდნენ
ლიფტში იდგნენ
როგორც ნოეს კიდობანში
თან წარღვნის შემდეგ

ცონა ბეტონი
დაეცა ლიფტს და
გადაცვივდნენ
და გაბრტყელდნენ
დაბლა ვარდნისას
უცებ გახდნენ თავისუფლები
ვით გარგარის ხეები
ფესვებმოგლეჯილები

ოცნი იყვნენ და
 კვლავ ოცნი გახდნენ
 დაეტოლნენ ერთიმეორეს
 სწორდებოდა
 როცა მათი
 საფლავის რიგი
 მხოლოდ მამამ ვერ მოასწრო
 გატოლებოდა
 ნახშირთან წაბრილი გაშეშდა იგი
 ხოლო ისინი ადიოდნენ მაღლა და მაღლა
 რეზინის ჩექმებით
 გამოცლილი მათარებით
 მათარებივით სხეულებით
 ადიოდნენ იქ –
 ანგელოზებთან...
 ბებიები კი შვილიშვილებს
 ახლა ზღაპრებს უყვებიან
 გარგარებზე ჩაჩქანიანზე

ჩემი ბებოს ზღაპარი

როცა ცრემლი

ქვის მარილად იქცევა ხოლმე

როცა მუცლის ზღვა

მალარო ხდება

მამონტები იხრცებიან

და გულდია სულიერები იბადებიან

ისინი ცვლიან გაბედულებას ბოთლ არაყზე და

ეწყობიან სამუშაოზე

მოიცადე!

შენ მალარო გადაგყლაპავს

შავგვრემანო

ქვის ლამაზმანო

მოიცადე!

ის გაგიჩენს იცოდე მკვდარ ზღვას

და სამოცი სანტიმეტრი არ ექნება მას წელის ზომა

ძუძუები კი წელამდე დაეკიდება

არ შეხვიდე მასში რადგან

შეიძლება ვეღარ დაბრუნდე

როგორც ბავშვი დედაში რომელსაც

ადარა სურს მშობიარობა

კაცმა მასში ჩაყვინთა და

ცრემლით ხელში დაბრუნდა უკან

კაცმა მასში მეორეჯერაც ჩაყვინთა და

ცრემლით ხელში დაბრუნდა უკან

კაცმა მასში მესამეფერაც ჩაყვინთა და
 ნანშირით სავსე ხელეებმა იგი
 ჩაითრიეს მიწისქვეშა ზღვის
 ღრმაზე ღრმა ფსკერზე

გარგარის ხეებმა კი ხელეები
 ცისკენ გაშალეს
 გარგარებმა დაიხურეს
 ჩაჩქანები ნარინფისფერი
 და ახლა როცა მიირთმევ გარგარს
 ნანშირის ნატყესს პოულობ შიგნით –
 დასასრულს ზღაპრის

ანგელოზების წიგნი

შენი კბილები – ჭიანი და ჩაშავებული
ისე როგორც ეს მიწაყრილები
შენი თვალები – ნაცრისფერი და წვის შეგრძნებით
ისე როგორც ფესვებივით ამოთხრილი
ალჩევსკის კვამლი
რომ იზრდება ზემოთკენ როგორც
ტირიფის ხე და
ეგუება ყველაფერს ირგვლივ
– მე ფანმრთელობა არ მივარგა
მაგრამ არაა საჭირო რომ თანაგრძნობას გამოხატავდეთ
მე უბრალო ბალახ-ბულახის
მოპოვებით კი არა ვარ დაკავებული
არამედ ვეძებ
მიწაში და ცაში
ქვაბალახს:
ოდესღაც აქ ზღვა იყო და
იზრდებოდნენ ბალახები ვეებერთელა
ანგელოზები ისხდნენ მათზე და ქანაობდნენ
ბალახები კი უსმენდნენ იმათ მუსაიფს
იმახსოვრებდნენ სიტყვებს და მერე
იპრესებოდნენ ცოროფად რომელიც
თავის თავიდან წურავდა ტენს და
სუყველაფრის არსი ხდებოდა
მწვანე ცოცებით იფარებოდა
ხოლო მორები
ეს სიტყვები ანგელოზური

ქარს ვერ მოჰქონდა
 და ამიგომ მსუბუქდებოდა
 და ნანშირის სახეს იღებდა
 ამიგომაა რომ დღეს მაღარო თითოეული -
 არის წიგნი
 ანგელოზების სიტყვებით და
 მისი ფურცლები
 ქურებში იწვის
 და არის სანთლები ვეებერთელა -
 გაფანტული სადღაც სტეპებში

ამიგომაა რომ დონბასის ქარხნებს ასდის
 ფერადი კვამლი
 და საფარო სივრცეების
 აკრძალვები მოწვევებზე
 აქ არ ვრცელდება
 ქარხნის შიდა მოედნები ხომ სახლებია მაღაროელთა
 სახლში კი როგორც მოგენსენებათ
 თუ მოუნდა გაბოლება
 გააბოლებს უღვაშა კატაც

ვაგონი კი მოჰქრის: გრა-ტა,
 გრა-ტა-ტა, გრა-ტააა...

სიბერისაგან

მოკვდნენ ბებია და ბაბუა
ერთ დღეს მოკვდნენ
ერთ საათში
ლამის ერთ წუთში –
ხოლო ხალხი ამბობდა, რომ სიბერისაგან

ჩაბარდნენ პატრონს მათი ქათამი
თხა და ძაღლი
(კაცა სახლში არც კი ყოფილა)
ხოლო ხალხი ამბობდა, რომ სიბერისაგან

ჩამოიშალა მათი სახლი
ნანგრევებად იქცა ფარდული
სარდაფს მიწა ზედ ეყრებოდა
ხოლო ხალხი ამბობდა, რომ ეს ყველაფერი
ჩამოიქცა სიბერისაგან

მოვიდნენ ბებიას და ბაბუას დასამარხად მათიანები
ორსული ოლია
მთვრალი სერგეი
სამი წლის სონია
და ისინიც დაიხოცნენ
ხოლო ხალხი ამბობდა, რომ სიბერისაგან

ყვითელი ფოთლები ცივმა ქარმა ააფრიალა
და მათ ქვეშ დაფლა ბებია, ბაბუა, ოლია, სერგეი და სონია,
რომლებიც მოკვდნენ სიბერისაგან

სარიტუალო მომსახურება

ბუჩქს წააგავს ეს ცერორისტი
ქარში თრთის და უკანასკნელი ფოთოლი სწყდება
ნესტოებიდან ორთქლს უშვებს – სუნთქავს
სურდა ბუჩქი ყოფილიყო და
ეს ვერ გათვალა

თოვლს ცდილობს ჰგავდეს ეს ცერორისტი
ფუმფულა და თეთრია, მაგრამ
თბილი აქვს კანი. ვერ გათვალა ეს მომენტი და
ვერ მოაჩვენებს ხალხსაც თავს თოვლად

ლამაზ გოგოს ჰგავს ეს ცერორისტი
მიღიმის და იმედი აქვს, რომ დავკოცნი და
შესაძლოა მის ცერორიზმს
უფრო ღრმადაც კი გამოვიკვლევე.
მაგრამ მე მიყვარს ბიჭები და
ესეც ისაა, რაც ვერ გათვალა

ეს ცერორისტი იმ კატაფალკით მიდის, რომელსაც
„სარიტუალო მომსახურება“ აწერია და
მართლაც, მისი მომსახურება არის ასეთი
და თავადაც არ უნარია
და წევს კუბოში
ისე ფერმკრთალი როგორც მკვდარი
და გაცივდა როგორც თოვლი
და არ სუნთქავს როგორც ბუჩქი

საკუთარ გულსაც კი ასწავლა გაჩერება ბლოკპოსტებზე.
საკუთარ გულსაც კი ასწავლა გაჩერება
და გაუჩერდა კიდევ სრულიად მოულოდნელად

ეს ტერორისტი არის სრულიად იდეალური
თუ ვირწმუნებთ რომ ადამიანი კი არ არის
არამედ მხოლოდ ტერორისტია



ბორის ხერსონსკი
Борис Херсонський

დაიბადა 1950 წელს, ოდესაში, ექიმების ოჯახში. თავადაც ექიმია, ოდესის უნივერსიტეტის კლინიკური ფსიქოლოგიის კათედრის გამგე. ფსიქოლოგიასა და ფსიქიატრიაზე ექვსი მონოგრაფიის ავტორი. 70-80-იან წლებში იყო ოდესაში დისიდენტური მოძრაობის აქტიური წევრი. მისი პირველი წიგნები გამოდიოდა არაოფიციალურად, თვითგამოცემის წესით. მისი პირველი ლექსების კრებული უკრაინაში ოფიციალურად გამოვიდა 1993 წელს, ხოლო რუსეთში – მხოლოდ 2006 წელს. ლაურეატია ვოლოშინის მე-4 და მე-5 საერთაშორისო კონკურსების (2006, 2007), ფესტივალის „კიევსკიე ლავრი“ (2008), პრემიის „მოსკოვსკი სჩოტ“ (2007), ჟურნალ „ნოვი მირ“-ის პრემიის (2008). არის ი. ბროდსკის სახელობის ფონდის სტიპენდიატი (2008). წერდა რუსულად, მაგრამ რუსეთ-უკრაინის კონფლიქტის გაჩაღების შემდეგ, პროტესტის ნიშნად, გადავიდა უკრაინულ ენაზე.

• • •

ჩვენს დასახიჩრებულ სახლში ძმამ მოიყვანა ომი,
ის – ბანტიანი გოგონაა, ძლივს დადის და ბევრს ღნავის,
ძმა ამბობს – დაგიტოვებთ და გავივლით, დავიღალეთ
პოსტზე დგომით,
ის ფერ პატარა გვეყავს, ცოდოა, წვიმით დავუსველოთ თავი

ძმა წავიდა და ომი დარჩა, ის პატარაა მართლა,
ხელის შეშველება მოინდომა, სახლის გამოსვეტა ბანი,
თავისებურია, იყუყუება კუთხე-კუნჭულთან და კართან,
ბებოს ზანდუკიდან ამოქექა რატომღაც ათასგვარი ფლანი.

ღამით ვერ იძინებს, ამიტომ ჩვენც ვეღარ მოგვისუჭავს თვალი,
დღისით ხმას არ იღებს – და დღეებსაც დააჩნდა დარდის კვალი,
ჩამსხვრეულია ფანჯრები, გაიყინა ოთახთა რიგიც,
ძმა კი არაფრით არ ბრუნდება, რომ უკან წაიყვანოს იგი...

სიბიჟის ჭა

•

ჩვენს ეზოში,

როგორც ოდესის ბევრ ეზოში,

იდგა ჭა, ანუ უფრო სწორად,

მისი სრული იმიტაცია: მიწისქვეშ იყო ცისტერნა და
შიგ წყალს ასხამდნენ.

ეს ცისტერნები ახლა უკვე ცარიელია,

ანდა სახლის რემონტის შემდეგ

სამშენებლო ნაგვითაა ამოვსებული.

•

როცა პატარა ვიყავი, იყო ჭა ცარიელი,

და წყლის ნაცვლად იქ ჩასახლდნენ ხმები,

ისე, როგორც ზღვის ნიჟარაში. ზუსტად იგივე ეფექტი ჰქონდა,

ოღონდ ხმები იყო სრულიად განსხვავებული.

ზღვის ტალღების ნაცვლად შიშინი

და ჩურჩული გაურკვეველი.

ეს გვზარავდა ცოცხალი არ იყოს,

მაგრამ ჭისკენ გადახრილებს

გვიყვარდა ამ ხმების მოსმენა. ჩვენ ვცდილობდით

გაგვეჩიხა სიტყვები, მაგრამ ძალიან მალე

გვბეზრდებოდა ეს საქმიანობა.

•

ქალი, შავად შემოსილი, პატარა თავით,
დოლბანდივით თავზე წაკრული ხელსაწოცით,
გაფითრებული, წყალწყალა მზერით,
ყავარფენზე დაყრდნობილი (ტერფები – ამპუტირებული,
ორივე ფეხი – მოღუნული, მუხლებზე პატარა ბალიშები),
სრულიად შეშლილი – აი, ამ ხმებს ვინ უსმენდა საათობით.
გაუნძრევლად იდგა და სანე უქვავდებოდა:
შუბლშეჭმუნულს, წარბაწეულს.
რაც გნებავთ, უწოდეთ ამას უწოდეთ კატატონია,
პირამიმია, ვერბალური პალეოცინაცია.

ღმერთო, როგორ გვეშინოდა ჩვენ მაშინ მისი

•

ის ქალაქში დადიოდა ყავარფენებზე დაყრდნობილი,
ვიღაცას მუშტს უღერებდა და ემუქრებოდა,
და სულმუდამ ლაპარაკობდა, უფრო სწორად,
წამოიყვირებდა ხოლმე რაღაცას,
მაგრამ ჭასთან უტყვი ხდებოდა.

და ეს იყო უსაზარლესი.

•
 მანსოვს, ჭეჭა-ქუნილის დროს,
 მე ვიდექი ფანჯარასთან და ვწედავდი,
 რა ნელა კვეთდა ის მოედანს
 გაელვებებში, კოკისპირულ წვიმაში და
 განუწყვეტლივ გაჰყვიროდა, მუშგს იღერებდა, იმუქრებოდა.

ჩემს ყველა მეგობარს ანსოვს იგი,
 მაგრამ თუ რას ლაპარაკობდა,
 ვერვინ იხსენებს. არადა მაშინაც კი ვწვდებოდით,
 რომ რასაც ის ამოთქვამდა,
 ჭასთან ჰქონდა გაგონილი და მოსმენილი.

ოდესური ჭა, ანტიკური ორაკული,
 ცალსახა პითია, ბავშვური შიშები.

რა იყო ეს? სიგიჟის ჭა, აი, რა იყო.

წიგნიდან „ახალი ბუნებისმეტყველი“

თუთიყუში

თუთიყუში ინდოეთში სახლობს.

მოღუნული აქვს ნისკარტი და თავს ამ ნისკარტით შველის:
აპრენს მაღლა და მიწაზე ზღართანს ამ პოზაში ელის.

აქვს მწვანე ფრთა-ბუმბული და აქვს ელვარე

აღისფერი ყელი.

ასეთ შეფერილობაზე სხვას არავის მიუწვდება ხელი.

გაურბის დასველებას თუთიყუში, სძულს ამიტომ წვიმა:

სეტყვა, ელვა.

მაგრამ რაც მთავარია – ძალუძს მეტყველება.

დაბადებიდან იცის მხოლოდ მისალმება, ანუ სიტყვა „ავე“.

ყველაფერი დანარჩენი – მიდი და თუ შნო გაქვს, ასწავლე
ურტყი დღე და ღამე თავში კვერთხი რკინის.

ამ დროს ფრთას იფარებს თავზე ის და გამწივანად კივის.

რასაც არ ასწავლი, ბოლო-ბოლო ყველაფერს იტყვის

თუთიყუში,

მაგრამ ნათქვამიდან აზრს ვერ გამოიტანს, რადგან არის

ბაიყუში.

და მოკალი და არ ესმის ამ ფრინველს, თუ რაზე ქაქანებს.

ამით ჰგავს ის ხშირად ადამიანებს – უტვინო მანქანებს.

ჭიაყელა

ქვეყანას რომ მოევლინონ, ჭიაყელებს არ სჭირდებათ
რაიმე აქტი.

სულ თავისით ჩნდებიან და ესაა დიდი საიდუმლოც
და მყარი ფაქტიც.

გრძელები არიან ჭიაყელები, კვეთაში – მრგვალნი,
მოძრაობენ სულ ერთი ტაქტით.

ამბობენ, რომ მზის სხივები მათ აჩენენ ლეშსა თუ გვამში,
გაზაფხულობით, ნახნავებზე კი ათასი ჩიტი: ჭილყვაიც, შაშვიც
ჭიაყელებს კორცნის, მაგრამ გინდა იქით გაიხედე და
გინდა აქეთ –

მაინც ისინი არიან ყველგან, მრავლდებიან, ჩურჩულებენ:
გვადიდეთ, გვაქეთ!

მიწაში, ხორცში, ტანსაცმელში, ფეხვილში, თვით წყალშიც –
ყველანაირში: მდინარეშიც, გუბეშიც, ზღვაშიც,
ფუთფუთებენ ისეთნაირად, არ აგერევა არაფრით სხვაში.

ბუნებისმეტყველი ამბობს ასე: ჭიაყელა ცოდვის მსგავსია,
ცოდვა თავისით ჩნდება, იგი სულის ხავსია.

ყველგან ვერ აღწევს, თუმცა არის მეტისმეტად
გავრცელებული.

ანუ ღმერთს ჰგავს, მაგრამ მაინც არის მისგან
განსხვავებული.



კალინა კრუკი

Галина Крук

დაიბადა 1974 წელს ლვოვში. პოეტი და მთარგმნელი. ავტორია პოეტური კრებულების: „მოგზაურობა სახლის ძიებაში“ (1997), „ნაკვალევი ქვიშაზე“ (1997), „სახე ფოტოსურათის მიღმა“ (2005), „თანაარსებობა“ (2013), „ზრდასრული ქალები“ (2017). მისი საბავშვო წიგნები თარგმნილია თხუთმეტ, ლექსები კი ოცზე მეტ ენაზე. თავად თარგმნის პოლონური, ლიტუვეური, რუსული და ბელარუსული ენებიდან. დაცული აქვს დისერტაცია XVII-XVIII საუკუნეების უკრაინული ბაროკოს ლიტერატურის თემაზე. იყო უკრაინული პენ-ცენტრის ვიცე-პრეზიდენტი და ასწავლის უკრაინულ და უცხოურ ლიტერატურას ლვოვის ი. ფრანკოს სახელობის ეროვნულ უნივერსიტეტში. რუსეთ-უკრაინის კონფლიქტის გაღვივების შემდეგ, 2014 წლიდან, ხშირად ჩადიოდა ფრონტის ხაზზე და ხვდებოდა უკრაინელ ჯარისკაცებს. 2018 წელს იყო თბილისის IV საერთაშორისო ლიტერატურული ფესტივალის მონაწილე.

ინგებორგ ბახმანის სიკვდილთან შეთამაშება

იშვიათმა მატარებელმა ადრე იცის ჩამოდგომა
იშვიათმა ცეცხლის ალმა – გაჩერება შუაგზაზე
ქალი სიკვდილს, ვით დახურულ კარს, ისე აწვება
ცდილობს გაღებას
ხოლო სიკვდილი საყვარელივით ვიღაც სხვასთან
ჩაიკეტა მეორე მხარეს და დალატობს,
ყოველ ფერზე ცინიკურად დალატობს ხოლმე
ქალი კი ელის, მოუთმენლად აკაკუნებს
თავის საბეჭდ მანქანაზე
თავის ცხოვრებას – სასიყვარულო პრელუდიას,
მეტისმეტად რომ გაიწელა
კლავიშები სულ ტყუილად ტყაპატყუპობენ
იჭედებიან სიტყვებსა და
მათ შორის ხალვათად ჩაღაგებულ ნივთებს შორის
მაგრამ რას იზამ, როცა არცერთ კლავიატურას
არა ჰყოფნის ასოები იმისათვის
უმართებულს სიკვდილი რომ გაამართლოს
დაგვიანებული მისი ეს მოსვლა,
ეს ენატკბილი ქლესაობა
დამნაშავესავით რომ უკოცნის დამტკნარ ხელებს
ცეცხლის ენებით...
ინგებორგ, დართე,
დართე ნება, კიდევ ერთხელ მას რომ გაცდუნოს

ჩვენი შემოდგომა პაწაწინა ხეებთან ერთად

გრიგორი ჩუბაის მაღალ ხეს

შემოდგომა, ჩვენი, იწყება

პაწაწინა ხეებთან ერთად
ლიტერატურა ფოთლებზე უფრო სწრაფად ყვითლდება
ვიდაც თვლის, ის უკვე მომწიფდა
გონიერისთვის, კეთილისთვის, მარადისისთვის,

ადამიანურ არსში წვედომისთვის
და საშუალოსტატისტიკური უკრაინელის

მოლოდინის ჰორიზონტებს მიუახლოვდა,
რომლის სულზეც მოდის სულ რაღაც ნახევარი წიგნი, წიგნაკი,

და ისიც – საბჭოთადროინდელი და შემნახველი,
რით დასრულდება ნეტა ჩვენი შემოდგომა

პაწაწინა ხეებთან ერთად,
თუკი მათ მიღმა ტყე არც კი მოჩანს?

თუკი მწერალი არის მხოლოდ ადამიანი,

კალმისტრამდე მიღწეული
მხოლოდ და მხოლოდ ადამიანი, კალმისტრამდე

მიღწეული,

მხოლოდ და მხოლოდ ადამიანი?..

• • •

არსებობს ადამიანურ ურთიერთობათა ასეთი ფორმა –
ყოფილი საყვარლები.

ყამიდან ყამს გამქრალი სინაზე დაავადების

რეციდივივით ბრუნდება უკან:

მენსიერების ლიმფური კვანძების მტკივნეული გასიება,

დისტანციის სურდო, თანაც ალერგიული,

ფანტომური ტკივილები ტანში, რომელიც აღარ გეკუთვნის.

ამ დროს იმ წყალზე მიშტერება გშველის ხოლმე.

საშხაპეს ძირში რომ ტრიალებს, ქაფს აყენებს და
ცდილობს ჩარეცხოს უპიდერმის მკვდარი ფენა

შეხებათა და კოცნათა დაბერებული ნაიარევით.

ამ დროს ბეწვები ინტიმური ადგილებიდან

დაგორგოლავენებულები

საშხაპეს ძირის თეთრ ემალზე იმ ბზარებსა თუ

ნაპრალებსა ჰგავს,

საიდანაც გეშინია არსაითში გადაიჩენო.

• • •

მე გავხსენი ბოლო კარი,

რომლის მიღმა არც შენა ხარ და არც მე ვარ
სულ სხვა ქალი დაიარება სამზარეულოში
გაცვეთილი ჩუსტებით და

ჭურჭელს რეცხავს და ახმაურებს
სხვა მამაკაცი მიგდებულა სპორტული შარვლით დივანზე და
ზანტად ეწევა და აპურჭყებს იატაკზე

სხვა ქალი, საერთოდ რომ არა მგავს,

ისე, როგორც ზღვის წვეთი არ ჰგავს
ონკანის წყლის წვეთს
და სხვა კაცი, გაბერილი და გაცრეცილი,

ისე, როგორც სამაშველო წრე.
რატომაა ის აქ? ზაფხულს მასხენებს ვითომ?
მაგრამ განა შეიძლებოდა რაიმე ზაფხული ჰქონოდა ამ ორს?

მე გავხსენი კარი, შუქი შემოვუშვი და

ის ჩიტივით ენთქება ფანჯრის მინას.
მე გავხსენი კარი იქ, სადაც
არავის სცნელა ჩივისათვის

სხვა ქალი,

ბრტყელი და უხეში, მოუპირკეთებელი დაფასავით
სხვა მამაკაცი – ფაშარი და უიმედო,
როგორც დამპალი ნაფოტი შეშის

ცოლქმრულ ჩხუბსაც კი

არ ძალუძს მათში გადავივება ნაპერწკლის,

ან გაჩაღება ხანძრის

მხოლოდ ფერფლი საფერფლეში,

და ნაცარი, თავზე წაყრილი

ყველგან – ფერფლი და ნაცარი

მე გავხსენი მძიმე კარი, როგორც კუბოს სახურავი,

როგორც მკვდრების ქუთუთოები,

მე გავხსენი კარი და ამ კარს ვეღარ ვხურავ

• • •

ხანდახან ჩემთან შემოდის ჩეჩენი შაჰიდი ქალი
 უფუდება მაგიდას და ჩვენ დიდხანს ვსაუბრობთ ბავშვებზე.
 აბა, სხვა რაზე შეიძლება საუბრობდნენ ქალები
 ასეთი გასწივოსნებული სახეებით?

- გუშინ ჩემმა ბიჭუნამ პირველად მკითხა
 სიკვდილის შესახებ. - ვეუბნები მე. -
 და მე აბნეულად ვცდილობდი, ამეხსნა მისთვის, თუ რატომ...
 - ჩემი გაიგებს ყოველგვარი ახსნა-განმარტების გარეშე.
 - მპასურობს იგი. -
 იცი, ისინი ისე სწრაფად იზრდებიან

პირველ გასროლამდე...

- როგორც პირველ ზიარებამდე. - ვფიქრობ მე.
 მაგრამ ეს უკვე მარადისობის ჩვენი soft-ვერსიიდანაა
 ჩვენ ხომ ისე ხშირად ვცდილობთ
 ღირსეულად აღვზარდოთ ჩვენი ვაჟები
 რომ ბოლო-ბოლო ისინი
 საკუთარი ღირსების დაკარგვის გამო იხოცებიან
 - la guerre comme a la guerre,* -

ამბობს ის ფრანგული ფილოლოგიის და ჩეჩნეთის ისტორიის
 გამოცდილებიდან გამომდინარე
 და მე, უადგილო კნინობითი სუფიქსებითა და
 რბილი ნიშნებით გადატვირთული
 ჩემი უკრაინული ენის გამოცდილებიდან გამომდინარე,
 ამის წინააღმდეგ არაფერი მეთქმის

* la guerre comme a la guerre (ფრ.) - ომი, როგორც ომი

ჩვენ ხომ ისეთი მონდომებით ვასწავლით ჩვენს ბიჭებს
პოლიტიკორექტულობას

რომ მათ საბოლოოდ გაუბედაობა კლავთ

- სამყარო სხვა გამოსავალს არ გვიტოვებს. -

მეუბნება ის დამშვიდობებისას
და მე მას ვუსწორებ აწეწილ თმას.

შავ საუცხოო თმას

მოქცეულს ფარისკაცის გამძლე ჩექმების ქუსლების ქვეშ -

და ესაა დედის წამგებიანი როლი

პოპულარულ რუსულ მიუზიკლში

• • •

ბევრი ნივთი იმაზე აღრე ქრება
 სანამ შევამჩნევთ
 ბევრი კი საერთოდ არ ჩნდება
 ჩვენი თვალთახედვის არეში
 როგორც ის კაცუნა, რომელიც კვირადღეს
 კულტურისა და დასვენების პარკში
 ასე თცი წლის წინ უნდა დამეხვრიტა
 მაგრამ სანამ ვუმიზნებდი
 ის ჩაიმალა და თავს აღარ ჰყოფდა
 ვინ მოკლა ეს თავგანწირული კაცუნა
 ციციქნა ტყვიით და
 მრუდეღუღიანი იმავე თოფით?
 ვინ მოასწრო მისი შემჩნევა?
 ვინ მოასწრო დაემიზნებინა მისთვის
 ზაფხულის იმ რამდენიმე
 უცებ გაფრენილი კვირადღის განმავლობაში
 რომელთაგანაც თითქმის ყველა წარსულშია უკვე?

• • •

აი, ბანქოს ქაღალდებისგან აშენებული შენი სახლი –
აქ თავისუფლად შეგიძლია იცხოვრო
თუკი არ დაიწყებ ხმამაღლა ოხვრას
ან ძილში ხვრინვას
თუკი არ მოყვები ცემინებას და ხველას
ან ვინმესთან ცხოველურად შეფუარებას არ შეეცდები
და ამით ყველაფრის დანგრევის საფრთხეს არ გააჩენ –
კედლების, ფანჯრების, კარების
სუნთქვა უნდა შეიკრა
უდროო დროს ვნებები თუ მოგეძალა
სისხლი უნდა დაამუხრუჭო ვენებში
რომ არ აგირქროლდეს
სიმშვიდე უნდა შეინარჩუნო
კრიჭაშეკრულმა
მთელი ათი წლის განმავლობაში
ფადოსნური ალიონის ცდუნებას არ უნდა აპყვე
ბოლოს კი უნდა გაიფახუნო კარი
ო, თან როგორ უნდა გაიფახუნო
კიდევ ერთხელ – დამაფერებლობისთვის –
და დაადგე
დედამიწის მოუღობავ
ოთხსავე მხარეს

• • •

ხდება ხანდახან: დამცავი სარქველის გარეშე ქმნის
ღმერთი ვიღაცას

აძლევს კანს, ისე სიფრიფანას,

რომ მიღმა გული ილანდებოდეს,

კანქვეშ სისხლს უსწამს,

ასფალტზე რომ იწვეთოს და

უშვებს გრძელ გზაზე,

ეუბნება: იარე კაცუნავ

არასრულყოფილო კონსტრუქციავ

არაფერი გაკლია თითქოს: ფენებიც გაქვს და ხელებიც,

ოღონდ არა გაქვს

ტკივილისთვის – გრძელი ხეობა

ცრემლისათვის – ცრემლსადინარი

სულისთვის – სულის მოსათქმელი

და მიათრევს ამ თავის ტვირთს ადამიანი, სანამ ძალუძს,

სანამ სუნთქავს,

სასმელგასამართ სადგურებზეც იმართება ფამიდან ფამს,

მაგრამ როგორც არ უნდა ცემდეს მის ქუსლში სული,

არაა გათვალისწინებული

სათადარიგო გასასვლელი,

და ცნოვრობს ასე ადამიანი, სანამ გამწევი ბორბლები

არ გაუცვდება

სანამ უფალი არ მიხვდება, გადაცემების კოლოფი რომ

ცარიელი აქვს

და გარემოებათა წნევის გამო არ წასკდება ცხვირიდან
სისხლი.

და წევს ადამიანი გზაზე.

და ღიმილის ნასახიც კი არა აქვს პირზე.



მარიანა კიანოვსკა

Марианна Кіяновська

დაიბადა 1973 წელს ლვოვის ოლქის ქალაქ ჟოვკვაში. პოეტი, პროზაიკოსი, კრიტიკოსი და მთარგმნელი. დაამთავრა ლვოვის ი. ფრანკოს სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტი. ამჟამად ცხოვრობს და მუშაობს ლვოვში. ავტორია პოეტური კრებულების: „ინკარნაცია“ (1997), „სონეტთა გვირგვინები“ (1999), „მითუმომქმედება“ (2000), „სიყვარული და ომი“ (მარიანა სავკასთან თანაავტორობით, 2002), „ადამის წიგნი“ (2004), „ჩვეულებრივი ენა“ (2005), „373“ (2014) და სხვა. მთარგმნის პოეზიას პოლონურიდან და რუსულიდან. ლაურეატია ნესტორ ჟამთააღმწერლის სახელობის ლიტერატურული პრემიისა (2006) და კიევის პოეტური ფესტივალის პრემიისა „კიევსკიე ლავრი“ (2012). რუსეთ-უკრაინის კონფლიქტის გაღვივების შემდეგ, 2014 წლიდან ხშირად ჩადიოდა ფრონტის ხაზზე და ხვდებოდა უკრაინელ ჯარისკაცებს. 2017 წელს იყო თბილისის III საერთაშორისო ლიტერატურული ფესტივალის მონაწილე.

• • •

მძივი გაწყვიტა სიკვდილმა და
გაფანტულ მარცვლებს
ისე აგროვებს
როგორც თავებს
განვრეტილს ტყვიით

ორი ლექსი, მიკლვნილი მილოშისადმი

1.

საწყისი ალაგი რომ ყოფილიყო
მხოლოდ ალაგი

არა რუკაზე აღნიშნული –
თავისთავადი

და არა ათასი ფოტოსურათი
სახეებით თუ მათ გარეშე

და ის რაც წიგნების შუაგულშია
ქარი და თოვლი
ზეთისნილი და ლიმონი
ყავა და ღვინო
რომ არ გოვებდეს
ლაქებს ვთქვათ კანზე
ან ჩრდილივით
ქვაფენილზე არ ეცემოდეს

და წარსული რომ ყოფილიყო
მხოლოდ წარსული
ანდა არამხოლოდ წარსული

შეძლებდა პოეტი ყოფილიყო
მხოლოდ პოეტი
ანდა არამხოლოდ პოეტი

2.

ამოდის ჩადის

ამოდის ჩადის

ამოდის ჩადის

გაუთავებლად

სიკვდილი ვით მზე

ლექსებშიც და ლექსების მიღმაც

გონის ჩიტი კი

არც ბუდეშია არც გალიაში

არც ყურშია არც თვალშია და არც ხელშია

შუაშია

სადღაც შუაში

ძალზედ შუაში

და დადის დადის

არ ძალუძს ფრენა

წამოიწევა ისევ ჩაფუდება

გაუთავებლად

• • •

პალატაში ისეა როგორც ჩიტის ბუდეში
სიმყუდროვეა არ ქრის ქარი ბნელა ხის წებოს
სუნი ტრიალებს
ანგელოზთა ფრთებით მყლავნდება
სანლში ნივთების ხასიათი მოულოდნელი
ხელის ტკივილი კვამლისაგან ყელის ტკივილი
ტკბილიც და მლაშეც როგორც სისხლი
გაფონა შუქმა კოცონისა
ფერ ქსოვილში მერე კი კანში
ვისაც არ სძინავს ცდილობს ისუნთქოს
იკუმშება ფილტვების ფრთები

ხვალე ვიღაცას
მიეყინება შუქი ტუჩებზე
თვალის გუგებზე

ახლა კი ქვათა მოგროვების უამი დამდგარა –
მკვდარი ცოცხალმა
თავისი ტანით უნდა გაათბოს

ასწავლოს ფრენა

• • •

უდაბნო, მშვიერი თავებით ქვიშის.

დამშეული თავებით, მოსეს ზურგსუკან რომ მიგორავენ

ისე დიდხანს, რომ

უკვე ბავშვები

და ამ ბავშვების ბავშვებიც კი იბადებიან,

გამხმარ პურთან დაწყობილი

თევზი კი ხმება.

ხოლო ცის ქვეშ, ზედ მზის გულზე

რომ დაიყარა,

იმ გამხმარი ძვლების ფიჩხისგან,

ტყე იზრდება უნარმაზარი.

ვინაიდან უფლისაა ეს უდაბნო

ის არ უშვებს

და ეშვება

ზოგიერთ თავზე,

გამომხმარი

რომ მიგორავს

ცის კაბადონზე

ოქროს ქვიშა
ცოცხლადაა
გაფანტული.

ადრეული უდაბნო
შიშვლების არის და
დამშეულებს.

• • •

ცული ვარ ხეს რომ ჩენს

რამეთუ ხეცა ვარ მე და რკინაც ვარ

ვისაც ვკლავ

ხორცი ვარ იმისი ხორცის

იქნება იარაღი?

ქაღალდიც იქნება

და ლექსი ქაღალდზე

რკინა და ხე

და ხე

და ცული ამავე ლექსის

• • •

ზღაპარს მოგითხრობ გოგონაზე
საქორწინო ბეჭდით ხელზე – მარცხენაზე –
რომ დადიოდა და ციროდა დროგამოშვებით
უფრო სშირად კი უბრალოდ დადიოდა
სახურავებით ვიადუკებით
ამოსუნთქვებით
ხელისგულეებზე გაცილებით აბრეშუმივით
ზედაპირებით

სწორეთი და კონუსისებრით
და ამოთქვამდა მზეს

მოგიყვები
რათა შენ მას არ აწყენინო

ჩამარხულო იმ ამფორასავით
მოცეკვავე გოგოს ფიგურა რომ ანაცია

• • •

ეს პირველად გალისიური
პატარა ქალაქის კიდეზე მოხდა
მეტისმეტად დატკბილული
აღმოჩნდა ყავა

შენ შემეკითხე
რომელ საათზე
აყვავილდა

ეს ვაშლის ხე
მე არ ვიცოდი

ამის მერე ზოგჯერ
კვლავ და კვლავ
მეკითხებოდი

რომელ საათზე
ხოლო მე კი ვიფიცებდი

რომ არ ვიცოდი

არაფერი
გარდა ყავისა იმ საღამოთი



ვასილ მახნო

Василь Махно

დაიბადა 1964 წელს ტერნოპოლის რაიონის ქალაქ ჩერტკოვოში. დაამთავრა ტერნოპოლის პედაგოგიური ინსტიტუტი და ასპირანტურა. დაიცვა დისერტაცია მეოცე საუკუნის გამოჩენილი უკრაინელი პოეტის, ბოგდან-იგორ ანტონიჩის (1909-1937) შემოქმედებაზე. ასწავლიდა ტერნოპოლის და კრაკოვის უნივერსიტეტებში. ოცზე მეტი წიგნის ავტორია პოეზიაში, პროზასა და ესეისტიკაში. თარგმნის პოლონურ, სერბულ, გერმანულ და ამერიკულ პოეზიას. მისი ნაწარმოებები თარგმნილია 25 ენაზე, მათ შორის ინგლისურად, ივრითზე, ესპანურად, ლიეტუვურად, გერმანულად, პოლონურად, რუმინულად, რუსულად, ჩეხურად, სერბულად. მისი წიგნები გამოცემულია ისრაელში, პოლონეთში, რუმინეთში, სერბეთში და აშშ-ში. ლაურეატია რამდენიმე პრემიის, მათ შორის – „BBC-ის წლის წიგნის“ (2015). 2000 წლიდან ცხოვრობს ნიუ-იორკში. 2019 წელს იყო თბილისის V საერთაშორისო ლიტერატურული ფესტივალის მონაწილე.

ფიმსტის შმსახმზ

დრო – თითქოსდა – გაიყინა ყასბის ფარდულში –
ხარის ენა დაკიდებული – წინა კვირას რომ მოიგანეს
ჩრდილოეთიდან – ჩიკაგოდან – 30-იან წლებში მომხდარი
 ისტორიული ბრძოლებიდან
დევეს სასიკვდილო მოხრიალე ხმით –
მძიმე კილონახევრიანი ხმით ყასაბმა რომ მოიპოვა
ვეებერთელა სხეულიდან ცხოველისა

ის უნდოდათ მიეყიდათ ერთი ლათინურ-ამერიკული
 კომპანიისთვის

რომელიც აწყობდა თურმე ფიესტებს
 და სამხრეთის შტატებიდან ყიდულობდა ცხოველებს
მაგრამ ზეირიანი მყიდველი ნახა ფერმერმა და
ხარს რომელიც ყოველწლიურად ძროხების ნახევარს
 მის ნახირში აორსულებდა

არ მოუწია გამხდარიყო ფიესტის მსხვერპლი – იშვიათი
პეპელასავით გაჩხვლეტილი – ხელით შეშლილი
 ზოოლოგისა –

არ მოუწია აეგანა სადღაც ლათინურ-ამერიკული ქალაქის
 მოხრეშილ არენაზე პუბლიკის სცენა
ქალაქში სადაც მცხოვრებლები მთელი წელი ემზადებიან
 ზეიმისათვის:

მამაკაცები – ფარფლებიანი ქუდის ჩრდილიდან სქელ
სიგარებს რომ ეწევიან და ფეხზე ჩექმები ამოუცვამთ
მომძვრალი ქუსლებით – ფიესტის თემაზე სიგყვებს

ერთმანეთს ზანტად ესვრიან – მიაჩნიათ რომ კაცური საქმე
სწორედ ესაა – ხარების ხოცვა

ქალები და გოგონები კი ჩაიცვამენ ფერად კაბებს და
ლითონის სამშვენიესებს დაიკიდებენ წავლენ ქალაქში
იაფიანი სუნამოების საყიდლად და ყურადღებას არ
მიაქცევენ უზარმაზარი ხის ქვეშ მსხდარი მამაკაცების
ბრიყვულ ყბედობას – ერთადერთი სოფელში ბავშვები
იმარაგებენ ათას წვრილმანს ალაგებენ გამხმარ კუებს
უცხოელთათვის – სუნიანი ხორცები მანამდე ამოაჩიქნეს
და სუბები გააკეთეს – ნარჩენები კი უპატრონო ძაღლებს
აჭამეს – განსაკუთრებული მოთხოვნილება არის კუებზე

ო ცხელო რიგმო ამ მუსიკისა:

ხმები ქვიშით სავსე ტომრებს ჰგავს რომელსაც ზურგზე
გვკიდებენ ხოლმე

ხმები კაკტუსის ეკლებია რომლებიც უხეშ ტანისმოსს და
კანს გვიხვრიტავს

ხმები ცხარე კეტრუპია ზედ რომ ასხამენ ყველანაირ კერძს

ყასბებმა ოთხში ამოიღეს ეს ზეიმი

მათ: გააფრთხილეს ჭაბუკი ოქროსნაყშებიან კოსტიუმში
– რომელიც როგორც ზოოლოგი – შამფურზე იმ ხარის
აცმითაა დაკავებული – რომ იწონის ნახევარ ტონას –

მათ: მიატოვეს ხის ქვეშ მჯდარი კაცები თავიანთ

მარტოობის ასი წელიწადი აშრელიანო ბუნდიასთან

დარწმუნებული ვიყავი რომ „მარტოობის ას წელიწადს“
მარტოობის მხოლოდ და მხოლოდ რამოდენიმე კვირა
ბალუძს გამილამაზოს

ამიტომაც პირველ გვერდზე გადაშლილი წიგნი იდო
მაგიდაზე

პოლკოვნიკი აურელიანო ბუენდია უტრიალებდა
ლითონის ქილას და ყავა უნდოდა რომ მოეხარშა
შენც ყოველ დილით ქერის ყავას კოვზით ურევდი
ვინაიდან სხვას არც სვამდნენ ჩვენს ადგილებში

პირველ გვერდს კი ვეღარ გასცდი

პოლკოვნიკი გაიყინა ლითონის ქილის გახსნის მომენტში
შენ შეგეძლო მხოლოდ და მხოლოდ წარმოგედგინა იმ
კოლუმბიურ ყავას როგორი სუნი და გემო შეიძლებოდა
რომ ჰქონოდა

გარდა ამისა იმ რეცეპტის დამახსოვრება გასურდა
რომლითაც პოლკოვნიკი ყოველ დილით ყავას ხარშავდა
და კიდევ გვარების – გაორებული – ესპანურ-
ლათინურ-ამერიკულის – ერთმანეთზე გადაფაჭულის
ესპანური ტრადიციით და ამ წიგნში მიმოფანტულის:
პირველი – მამის, მეორე – დედის: გემოს აძლევდნენ
ადუღებულ ყავას ისინი

შენ შეგეძლო პოლკოვნიკისთვის გეკითხა კარგი სიგარეტის ყიდვა სად იყო შესაძლებელი თუმც ისე მოხდა ვერ მოასწარი – რადგან კეთილმა მეზობელმა რომელიც თუთუნს ეწეოდა მთელი ცხოვრება – შარშანდელი მოსაგლიდან მოგიტანა თამბაქოს მშრალი რამდენიმე ფურცელი და სიგარეტის ქაღალდის თხელზე თხელი რულონი – თავად იგი უფრო ხშირად გაზეთს ხმარობდა: ამბობდა რომ შრიფტი სიგარეტს უფრო ძლიერს ხდის

ასე გავიდა რამდენიმე დღე:

მე დროს ეწეღავდი აქეთ-იქით მიმოფანტულ ხელნაწერთ შორის – ჭიანჭველურ ჩანაწერებზე დაყრილი ყავის ზედაპირზე

გამეფიქრა – არაა ცუდი რომ პოლკოვნიკი იყო და დილით სვამდე ნაღდ ყავას

მაგრამ მეტის წაკითხვა მაინც აღარ მომინდა:
ამიტომაც

პოლკოვნიკმა წყლის აღუღება მოასწრო მხოლოდ მეზობელი შემეკითხა წიგნის შესახებ: რამდენიმე ფურცელს თუთუნის გასახვევად ხომ არ მივცემდი მე ვუპასუხე: არ შემიძლია – ახლა დავიწყე კითხვა მაგრამ რალაც ხელს მიშლის წინ ვერ მივდივარ

პოლკოვნიკი აურელიანო ბუენდია ამასობაში სადღაც გაქრა მეზობელიც არ მოდიოდა

მე დამრჩა: 1) რამდენიმე ჭიქა ყავა და 2) რამდენიმე დღე გამგზავრებამდე

გამგზავრებამდე ერთი დღით ადრე კვლავ გამოჩნდა მეზობელი გაზეთების მთელი დასკითხვა და ახალ ამბებს კოლუმბიაზე და მის ნარკოსინდიკატებზე

მე მას ვუთხარი – რომ ის მწერალი ვისი წიგნის გაბოლვებაც მას უნდოდა – კოლუმბიელი არის და ეწევა კუბურ სიგარებს

მეზობელმა გაიხსენა რომ ქალაქის მაღაზიაში ერთხელ ასეთი სიგარები დაინახა თუმცა არ იყიდა იმიტომ რომ ძვირი იყო და დაამატა: მაგის მოწევა რომ დამეწყოს დამცინებდნენო

დავემშვიდობეთ ერთიმეორეს

მორიდებით მკითხა მან ბოლოს სომ არ შემეძლო გამომეგზავნა მისთვის ასეთი სიგარები – და ჩამოსვლამდე წიგნი ჩემთვის ეთხოვებინა შემპირდა რომ წაიკითხავდა მოსაწევად არ მოიხმარდა

მე ვიცოდი რომ უკან აღარ დავბრუნდებოდი მაგრამ ეს
მას არ ვუთხარი არ ვაწყენინე
„მარტოების ას წელიწადს“ მოვკიდე ხელი და მივაწოდე
– ქერის ყავით მოთხუპნული და ნესციანი თუთუნის
სუნით

პოლკოვნიკმა აურელიანო ბუენდიამ როგორც იქნა
გამოცალა ყავის ჭიქა და ფანჯარაში გაიხედა
არ ახსოვდა საკუთარი დაბადების წელი მაგრამ ზუსტად
იცოდა რომ მხოლოდ ერთი მოდუღება ყავადა დარჩა

ბაჟი

წვრილი ძაფივით ძვრები
ვიწრო
ნემსის ყუნწით
ამ ცხოვრებაში

და გარბინარ
იმწუთასვე
ამ ცხოვრებიდან

არსაიდან – ალბათ – არსად

ერთხელ ასე გამოძვერი
დედის საშოდან

ამოგაფრქვიეს მისმა
მუცლის კუნთებმა ისე
როგორც ვულკანმა ლავა და შენ
იმწუთასვე მოიბუზე
სიცივისგან
და მარტობისგან

ყუნწი სულმუდამ ვიწროვდება

– მოკლდება –
– წვრილდება –
ეს ძაფიც და

გასაღებს ეძებ
ზურგსუკან რომ
კარი დაკეცო

რაღაცას გინდა გაემიფნო

და ცხოვრების ძაფს
ქვემოთ ეწევი

ფერ იმიტომ რომ
ამოიღო
სარძევე კბილი

მერე
კვანძები რომ შეკრა
რაღაცის გასახსენებლად

თანდათანობით კვანძების რიცხვს
ვედარც ითვლი და

დანაკარგთა
უნეშ კვანძებად
გარდაიქმნება
თხელი ძაფი
ბაგირი ხდება
და მისი თრევის
ძალაც აღარ გაქვს

ამ ბაგირით ნემსის ყუნწში
ვერანაირად ვეღარ გაძვრები
ისევე როგორც
გადაჭედილ ავტობუსში
ვერ შეეტენები

და რჩები მარტო
გაჩერებაზე

ხოლო მომდევნო ავტობუსი
აგვიანებს როგორც ყოველთვის

• • •

უკრაინელმა პოეტმა

უნდა წეროს რითმიანი ლექსები
წადით თქვენი...

კუსავით ზურგით უნდა ათრიოს გამრუდებული
ისტორიის ცვირთი
ავადმყოფობები სავარაუდოდ ალკოჰოლიზმით გამოწვეული

თუმცა

დამის 12 საათზე შეიძლება შეიყუჟო ერთი ანლობლის
სახელოსნოს ბაკნის ქვეშ და დილამდე სვა მასთან ერთად
მიაყოლო ზეთის საღებავები და ცილოს დასაჭიში
ქვეჩარჩოების ნახერხი
და დაგავიწყდეს ცოლთან დარეკვა, ისე უბრალოდ,
რა იცი რა მოხდება გამო...

დილიდან კი დაეყუდო მაღაზიასთან
თოვლის პალტოზე შავ დილეხად მიკერებულ
ყვავებთან ერთად
და დადაისცივით ივარჯიშო სიტყვების ფუძეებით სანამ
არ მიხვალ
სრულ აბსურდამდე - 11-იდან იყიდება ალკოჰოლი -

და იცოდე რომ სამკუთხა წრეების და ელიფსური
კვადრატების

ესთეტიკის დასასრულია შავი კვადრატი

- თვალეზში მუქდება ჭეშმარიტება -

იკითხოს სპეციალური ლიტერატურა ალკოჰოლიზმზე -
და გიკვირდეს
რამდენს გაუმართლა ჩვენგან

გაგახსენდეს რომ შევიჩნეოც ჩვენსავით იყო...
და ნახევარი საათი იყო ბედნიერი ამ შედარებით

ისე რომ არც გაგახსენდეს:

ბოდლერი - მეყვავილე

ვერლენი და რემბო - პარიზელი ბოჰემისტები

ელიოტი - უნაყოფო მიწის ბანკირი

პაუნდი - რადიოკომენტატორი და გიჟი

(ამერიკელი სამხედროების დრმა რწმენით)

ბაბილონის მდინარეებთან უკვე ვერაფერს გამოჩეკავ
- იხვი ნამდვილად არა ხარ -

ხოლო სენის ნაპირებზე: 14 ათასი მხატვარი დახატავს
გასაყიდად

ფოკონდას: შიშველს ან წვერმოშვებულს - სულერთია
მთავარია და ვინჩიმ ვერ იცნოს - თუმცა მას არაფერი
გაუგია copyright-ის შესახებ -

ჰუძონსა და ისტ-რივერს შორის კი -
პოეტი ნიუ-იორკში

- ზეციდან მოვლენილი მტრედი -
უკანასკნელი ამბებიდან იცი რომ 138 ათასი ნარკომანი
დღეში სამჯერ ნემსის თერაპიითაა დაკავებული -
ხოლო ჰომოსექსუალები და ლესბოსელები -
მოწყალების და-ძმები - ახლობლის სიყვარულით

ურიები კი მესიას ელიან

რალა რჩება:

დაუბრუნებელი ვალები
სამსჯავროზე გამოძახება
ბილეთი ბელგრადამდე

- კალმისტარი - ქაღალდი -
- ამომშრალი მელანი - კომპიუტერის შავი სისხლი -

და ეს ნარკოტიკული დამოკიდებულება:

ჩაიწერო ხოლმე სიტყვები
- როცა მორფოლოგია მორფს ჰგავს -

არ გეშინია დონის გადაჭარბების?

- გეკითხებიან -

რადგან ერთჯერადი შპრიცების ხელოვნებაში
ადამიანის გამშრალი სისხლით კავდებიან სიყვარულით

იეგუდა ამიხაი*

ჰერბერტმა მომიყვანა იეგუდა ამიხაი და მე
ჰერბარიუმით გავაშრე იგი
და წარწერა კაკტუს საბრას ქვეშ დავტოვე თუმცა კი
ამიხაი გერმანიაში დაიბადა
ხოლო საბრა წმინდა მიწაზე დაბადებული ებრაელია

ამიხაის ფურცელი ისე დიდხანს იდო რომელიდაც
გერმანულ წიგნში
სიურეალიზმის შესახებ რომ იერუსალიმის ქვების სუნი
აუვიდა და მე ამ ქვებს
ვიყენებდი ლექსებს შორის როგორც შავ ნიშნულებს
თეთრ ცილოზე
და მათ ნავსი მოეკიდათ ბორცვთა და დროთა წიგნში
დავით სანდუ და მარგალიტ მატიაგაუ** მიყვებოდნენ მე
ამიხაის შესახებ
როცა ჩვენ სანდუდან მივდიოდით ნოვი სადის
სინაგოგაში

და მარგალიტთან ერთად სასტუმრო კაზინოს
რესტორანში თეთრ პურს ვაწებდით თაფლში
რომელიც ხელებიდან იდაყვებამდე მოგვედინებოდა

როცა ვკითხულობდით ლექსებს მისი ხსოვნის სალამოზე
ნიუ-იორკში

* სახელგანთქმული ებრაელი პოეტი (1924-2000)

** თანამედროვე ებრაელი პოეტები

ყველას დავურიგეთ ლექსების ასლები ივრითზე და
 ინგლისურზე
 და მთელი დარბაზი მღეროდა ივრითზე ისე თითქოს
 მანამდე ბუფეტში პირი
 ზეთისხილით ამოივსეს

მაშინ სადამოთი ქროდა ძლიერი ქარი და დრო იყო
 ტაქსის გამოძახების
 ქოლგები ხელიდან გვეგლიჯებოდა და ისინი მიფრინავდნენ
 თავიანთ მფლობელებთან ერთად ნიუ-იორკის
 უნივერსიტეტის უბანში და არავინ იყო რომ გვეკითხა
 ებრაული ცენტრის მისამართი
 და ერთ უკაცრიელ ქუჩაზე ერთმა შემთხვევით
 გამვლელმა გოგონამ
 მიმითითა შენობაზე რომლის შორიასლოს უაზროდ
 ვწრიალებდი ნახევარი საათი
 და როცა ჩვენ ვლაპარაკობდით მას ხელიდან
 გამოეგლიჯა ქოლგა და მე გავიქეცი მის დასაჭერად
 რადგან დანაშაულის გრძობა მომაწვა
 ხოლო იგი გაღიმებული წვიმის ქვეშ იდგა



ანდრი ლიუბკა

Андрій Любка

დაიბადა 1987 წელს, რიგაში, იზრდებოდა კარპატებში, ქალაქ უეგოროდში. პოეტი, პროზაიკოსი და ესეისტი. ავტორია პოეტური კრებულების: „შიზოფრენიის რვა თვე“ (2007), „ტერორიზმი“ (2008), „ორმოცი ბაქსი და კიდევ ჩაის ფული“ (2016), პროზაული კრებულების: „ქილერი. ისტორიების კრებული“ (2012), „სევდის ოთახი“ (2016), რომანების: „კარბიდი“ (2015, BBC-ს კონკურსის „წლის წიგნი“ ფინალისტი), „შენი მზერა, ჩიო-ჩიო-სან“ (2018) და წიგნის „ბარბაროსების ძიებაში: მოგზაურობა იმ მხარეებში, სადაც იწყება და არ მთავრდება ბალკანები“ (2019, BBC-ს კონკურსის „წლის წიგნი“ ფინალისტი). მისი წიგნები გამოცემულია ავსტრიაში, პოლონეთში, სლოვენიაში. თარგმნის პოლონურიდან, სერბულიდან და ხორვატიულიდან. ლაურეატია პრემიების: „დებიუტი“ (2006), „კიევსკიე ლავრი“ (2011) და სხვ. არის უკრაინის საერთაშორისო პენ-კლუბის წევრი.

წირმანა

ძველი ტრადიციის მისხედვით

ჩემს ყოფილ სატრფოებზე, როგორც მკვდრებზე, ისე

ვლაპარაკობ:

ან კარგს, ან არაფერს.

ამიტომაცაა, იშვიათად რომ გავიღებ ხოლმე ხმას მათ შესახებ
და სხვა რამეზე ვაკეთებ მუდამ აქცენტს.

მაგალითად, ათას კილომეტრზე უფრო გრძელი

ავიარეისების

საკმაოდ სტაბილურ განრიგზე.

თუმცა კი არცთუ კარგად მესმის.

როგორ შეიძლება იზომებოდეს ჰაერი – დავიფერო, რომ
ანგელოზები ამით არიან დაკავებულები? დავიფერო,

რომ დარბიან

მოკლე დისტანციებზე, ხანდახან კი დაბრკოლებებსაც ლაპავეს.

ვინაიდან საჭიროა გადაახტე ღრუბლებს, ჩიტების გვამებს,

მოულოდნელად გასრესილებს ბოინგებით,

აღამიანის სულების დიდ გუნდებს, დროთა შორის

მობორიალეს.

ამ მართონული გარბენის ხანმოკლე შესვენებებში

ანგელოზები პეპლებთან ერთად აგროვებენ ყვავილების

მტვერს

და ისეთი ნეტარებით ისუნთქავენ მას, თითქოს წებო იყოს,

თითქოს ნიკოტინი იყოს რეალობის, თითქოს ეს იყოს

ცხოვრების არსი.

ამასობაში კი ჩვენი უმიზნო ცხოვრების ჭეშმარიტი არსი ხდება

საუბრები, ბგერების გრძელი არტიკულაცია, ყელის

მორწეს ანბანი, ანგელოზები კი ფიქრობენ, რომ ენა
 ბიბლიის საკითხავადაა შექმნილი.
 ისინი ამბობენ:

ცოდვილებო, თქვენ დაივიწყეთ ფაფოსხეთი,
 თქვენი ვენები კანზე ჩანს, როგორც ძველი ფრესკები
 ცაძრებში,

ჰოდა, მოისროლეთ ამიტომაც თქვენი გულები,
 გადაეშვით ფანფარებიდან,
 ავიარეისები ღმერთთან მიგიყვანთ დანიშნულების
 ადგილამდე,

შეეშვით თქვენს იწილობიწილოს, მუნღები იმისთვისა
 გაქვთ, რომ დაეცეთ მათზე,
 გესმით, ცოდვილებო, გრძნობს თქვენი ყურის აპკი ავე
 მარიას?

გრძნობს, როგორ პულსირებს მტრედის დიდი გული
 თქვენს საფეთქლებში?

ცოდვილებო, გონს მოეგეთ, რამეთუ მიწა ხართ და
 მიწაშივე დაბრუნდებით,

ამინ, ცოდვილებო.

ბომყები კი ნესტიან სარდაფებში მუნღებზე ეცემიან და
 წყალი მიედინება საკანალიზაციო მილებში. ეს მათთვის
 ცნონებაა,

მსუბუქი ნარკოტიკებისა და ალკოჰოლის ძლიერი და
 ნათელი დარცყმა გონებას ბინდავს.
 და უფალო, ნირვანა მოდის.

მხიარული სიმღერა ხელოვნების მარადიულობაზე

მე გავატარე დღე ჩემს საუკეთესო მეგობრებთან – ფონი
უოკერთან და ფუკ დენიელსთან –
პოეზიაში არანორმატიული ლექსიკის გამოყენების
შესახებ საუბარში.
თავდაპირველად შევთანხმდით იმ თეზისზე, რომ პოეზია
გაძარია, საყდარია, პირამიდაა.
შემდეგ ამას მივაწებეთ სამლოცველო, სიგარეტის
კოლოფი, თითქმის მომწიფებული გოგონა –
à la ნაბოკოვი.
შემდეგ საერთოდ შევთანხმდით იმაზე, რომ ღირს
გავინსენოთ
მოგზაურობები, კარგი მუსიკა, მძიმე მეტალურგია,
დავაყაროთ ამ ყველაფერს ფოთლები, წავლევკოთ
ცრემლებით,
მივამატოთ სანთელი, ღამე, სამხედრო ტექნიკა,
საათი, ქელენი, დილის უქეიფობა, აღმადრენა,
თარგმანები,
ქაღალდის მრეწველობა,
პლიუს აეროდრომი, სექსოდრომი.
თითქოსდა სია ამოწურული იყო, მაგრამ მაინც მოგვიწია
საკადრისი მიგვეგო
თონლისთვის (აბა, რანაირად უმაგისოდ?),
კლავიატურისთვის, მიკროფონისთვის, მიწვევებისთვის
და აფიშებისთვის,
მოკირწყლული ცროტუარებისთვის, სინდისის
ქენჯნისთვის.

პენუარებისთვის, ლაინერებისთვის, საკესთვის,
 აპა - გამანსენდა - უპასუნო სიყვარულისთვის,
 ტიტველი ადამიანებისთვის,
 ინტერნეტისთვის, გლობალური დათბობის
 პრობლემებისთვის,
 ჩათვლის წიგნაკისთვის, დიდი ჩინური კედლისთვის,
 იმ პირველი კოსმონავტიებისთვის, რომელთაც იგი
 დაინახეს,
 სიდნეის ოპერისთვის, სველი ხელსაწოცებისთვის,
 და დაე. ესეც იყოს - ბერლინის ეს-ბანებისთვის,
 რუკზაკებისთვის და მშობლიური მიწისთვის.

ამაზე იდეები ამოიწურა.

ყლეობაა - თქვა ფეკ დენიელსმა,
 რომლისგანაც უკვე ნახევარი ბოთლიდა იყო
 დარჩენილი.
 მართალია, ყლეობაა - კვერი დაუკრა ფონი უოკერმა,
 რომლისგანაც დარჩენილი კიდევ უფრო ნაკლები იყო.
 ყლეობაა, აბა, რაა - მხარი ავუბი მე.
 ყლეობაა, როცა შენი მეგობრები შიგნიდან იცლებიან
 ისე, თითქოს ბოთლები იყვნენ...
 როცა ისინი ცარიელები, გათავებულელებული,
 აკურატულად გაკრეჭილები არიან.

დღე დაილია, და უკვე დროა დაძინებისა.

როგორ ვწერ მე?

მე ვწერ კირილიცათი, მარჯვენა ხელით,
ღამის ორ საათზე, ბლოკნოტში,
გვერდზე „18 აგვისტო, 2011“.
ამიტომ ღირდა ლექსისთვის ეს სახელი დამერქმია,
მაგრამ არა. მე მსურს ვწერდე შენზე.
მაგრამ ვწერ კირილიცათი, რაც ნიშნავს,
რომ ვწერ ძირითადად იგორსა და სვიატოსლავზე,
ნესტორზე, პამვაზე, გრიგორიზე და სხვებზე.
თუმცა რატომ „სხვებზე“? ვწერ ტარასზე,
ლუბლინის უნიზე, რწმენისთვის ბრძოლაზე,
რწმენის დაღაცზე, როგორც ბრძოლაზე, კვიტკაზე,
ეკლესიასა და ბულგარეთზე (ხომ მიმინვდით?).
ვწერ პავიჩის შეცდომაზე (ვინაიდან კირილემ და მეთოდემ
გამოიგონეს გლაგოლიცა), თითქმის არ ვწერ თანამედროვე
სერბეთზე (მოღალატეები), არ ვწერ ვისკიზე, რადგან ვწერ
რაზზე – აბა, სწვანაირად როგორ, მე ხომ კირილიცას ვიყენებ,
თუმცა კი ჩემი არ ესმის სამყაროს დიდ ნაწილს.
სიპართლვე ითქვას, შენ უფრო ლათინური ანბანი
მოგინდებოდა,
მაგრამ მაპატიე, ასე აეწყო, და აწი
უკვე ვეღარაფერს ვიზამ:
უნდა ვწერო ანაზე, რომელიც საფრანგეთშია, ბოგდანზე,
ივანზე.

სამუელზე და ასე შემდეგ. რადგან ღმერთმა ჩვენ სამი
რამით დაგვსაფა:
ადმოსავლეთით, ძალაუფლებით და ანბანით.
მე ვწერ კირილიცათი: ასეთია ჩემი პირველი ცოდვა.
მომიტყვეთ.

შანსონი

ამ ტაქსიში ჩაფუდომისას,
რომელიც მიგიყვანს პირდაპირ სახლში,
ფიბში სიგარეტის კოლოფითა და ავტოკალმით,
სურვილით, რაც შეიძლება მალე ჩაწვე ცივ ლოგინში,
რატომდაც ბოლომდე არგამოცლილი ბოთლით ხელში
და უწყვეტი დეპრესიით,
შენ ფიქრებში ეშვადობები ცნოვრებას,

იმიტომ, რომ აბა, რა ცნოვრება შეიძლება იყოს
ამ შემთხვევით სამყაროში, ამ ჰელიოცენტრულ გალაქტიკაში,
ამ სულის მღაფავ ცენტრალურ ევროპაში

ამ ტაქსიში ჩაფუდომისას,
შენ ფიქრებით ეშვადები მძღოლის გაწეული მონოლოგისთვის
დანგრეულ გზებზე
გამყიდველ პოლიციელებზე
გამყიდველ პოეტებზე,
პავიჩის და კუნდერას
სინტაქსურ კონსტრუქციებზე,
ატომურ ფიზიკაზე,
ნავთობის ფასზე და მასთან დაკავშირებულ
ერაყის ომზე,
ისრაელის არჩევნების შედეგებზე,
რაზეც გნებავს.
თვით ცენტრალურ ევროპაზეც კი.

და როცა უსმენ ამ ღამის ტაქსისტს, შენ იწყებ
 ცხოვრების განმარტებას, როგორც შანსონის
 ნაწყვეტებისა ჩაუნშობელი
 რადიოსადგურებიდან, იწყებ ამ სიზმრისეული დედის
 გინებების გაგებას.
 ამ „მთვრალი ზომალდის“ გაგებას, რადგან ენას
 მართლაც ისე უნდა მოექცე.
 როგორც უკანასკნელ მებაღეს:
 დაკბინო, გაროზგო, გიყვარდეს.

ამ ტაქსიში ჩაჯდომისას
 ხვდები, რომ სიცოცხლე გიყურებს უკანა ხედის
 სარკეში, ამ შემთხვევითი ტაქსისტის
 დაღლილი და უნდობი მზერით.

აკრძალული

წერდე ლექსებს:

მატარებელში, ბარში, ქუჩაში, მუხლისთავზე,

კითხულობდე გაზეთებს, ინსტრუქციებს, ხელში იღებდე
ალმანახებს

და მსგავს საზინდრობებს, ყვავილებს, თავი მოგეონდეს
ლამაზმანად, ლიდერად,

ალკოპოლიკად, არტიკულირებდე ლოცვებს, ლექსებს,
მენიუს, სვამდე

არაყს, არაყს, არაყს, და მერე ლუდს, და მერე ლუდს,
იპყრობდე მწვერვალებს,

ფერდობებს, აღმართებს, მანძილებს, გიყვარდეს პირველ
რიგში საკუთარი თავი,

და გარდა ამისა სიცოცხლე, სასმელი, ფული, დილით
ვარფიშობდე,

ტელეფონს ტენიდე, სვამდე მზეს – 50 გრამს, 100 გრამს,
ან პირდაპირ ბოთლიდან, სვამდე და სვამდე, გიყვარდეს,

გიყვარდეს ეს სამყარო, ეს პლაცკარტი, ეს შემოდგომა,
ღმერთო, მომე ძალა,

არ ჩავეშვე, ღმერთო, მომე დასალევი, წმინდა სული
კითხულობს ლექსებს

კამუფლიაჟში, თუმცა კი სინამდვილეში ის ანარქისტია,
მგრედი ციდან მოფრინავს და

სცენაზე ფდება, წერდე ლექსებს, განცხადებებს,
საჩივრებს, წრეებს ურტყამდე სამყაროს,

ავტობუსით, საკუთარი წარმოსახვით, ნარკოტიკები
ცვლიან ლექციებს,

ერექციებს და ბიოდენებს, იარო შიშველმა და იკითხო
 ლექსები, დაწერილი
 გენიტალიებზე. ცხოვრობდე შენს გემოზე, ნანევრადმშიერი,
 იყო: სტუდენტი, დურგალი,
 გუბერნატორი, პოეზია – ეს მუდამ განუმეორებლობაა,
 ურცყამდე გოიმებს, ურცყამდე ბარაბანს, თავისქალებს
 თხრიდე
 თოვლის ნამქერებში, ზვავებში, ღრეობებში, სვამდე და
 სვამდე,
 წერდე ლექსებს, ნოველებს, გამოსვლების თეზისებს,
 იკიდებდე პრობლემებს,
 მოგზაურობებს, მატარებლებს, ფიქრობდე ქალებზე,
 ქალებზე, ქალებზე,
 და საბოლოო ფაშში კვლავ სვამდე, წარმოთქვამდე
 სახელებს,
 ქუჩების, გალაქტიკების სახელებს, პასუნს სცემდე
 საძმაკაცოს,
 წალეკო ცნობიერება ალკოჰოლის გრადუსით,
 პალუცინოგენური სოკოების წყალდიდობით,
 მოგონებებით,
 გრძნობდე ნარწყევის სუნს, ბოდლერის ლექსების გემოს,
 ვერლენის ჰომოსექსუალიზმს, შევჩენკოს
 ალკოჰოლიზმს,
 იკვლევდე დაცვენილ ფოთლებს,
 ქალის ძუძუებს, თვითმკვლევლობის ქრონიკებს,
 წვავდე ორაგულს, თმას, მოგონებებს ძვირფას
 ადამიანებზე,
 გაუთავებლად ფიქრობდე სექსზე და ტექსტზე.

მსხვერპლად სწირავდე ავტორიტეტს, ინტოქსიკაციას,
 ავიტამინოზს, ისუნთქავდე ყავის ორთქლს,
 წყალმცენარეების არომატს,
 შენი წიაღის, ოფლის, არსების სუნს,
 ეძებდე შუქს, გზას, ფანარს, ჭრიდე მოგონებებს,
 ხეებს, საკუთარ თავს, გადადიოდე ლექსში
 სასვენი ნიშნების გარეშე, კითხულობდე აღიარებას,
 უსმენდე ჩურჩულს, იპყრობდე ყურადღებას, კვდებოდე
 – ეს ადვილი არაა,
 უბრალოდ დაყიალებდე, წვებოდე კუბოში, საკუთარ სახეს
 ინარჩუნებდე.
 ელოდო ძვირფას ადამიანებს, ესემესებს, იმეილებს,
 მატარებლებს, მეგობრებს,
 საცვალს გაძრობდე, ანუ მიყვარდე მხოლოდ შენ და
 კიდეც ბევრი სხვაც,
 ჰპირდებოდე, იტყუებოდე, არაყს ასხამდე, ვიოლინოზე
 უკრავდე, ყავას სვამდე,
 კაიფობდე, მიუხედავად იმისა, რომ გააჩინა ნაპრალი
 ყოფამ, შანსონს მღეროდე,
 ატარებდე გრძელ თმას, ჭამისას სკდებოდე ხოლმე,
 სვამდე და სვამდე, ერთი სიტყვით,
 ცენაურობდე, ცნოვრობდე და გეძინოს ხოლმე,
 ცენაურობდე და ცენაურობდე,
 გიყვარდეს და გიყვარდეს და შენთან იწვე, მარტოობაში
 იწვე და მუდამ გინდოდეს, რომ
 იცნოვრო და გამოიძინო.



ანასტასია აფანასიევა
Анастасія Афанасьєва

დაიბადა 1982 წელს ხარკოვში. პოეტი, პროზაიკოსი და მთარგმნელი. დაამთავრა ხარკოვის სამედიცინო ინსტიტუტი და მუშაობს სასამართლო ექსპერტ-ფსიქიატრად. წერს რუსულ ენაზე. რამდენიმე ლიტერატურული პრემიის ლაურეატი, მათ შორის „რუსული პრემიის“ (2006), „ლიტერატურრენტგენის“ (2007) და „დებიუტის“ (2014).

• • •

ქალი ამბობს:

ჩვენს სახლს კარგი სარდაფი არა აქვს
და გამოვიქეცი, რადგან იქ ვერ დაიმაღლები
ერთი კვირა ვერ ვახერხებდი გამოსვლას
კაცები გზას მუფლუგუნებით იკვლევენ
ჩვენ უფრო სუსტები ვართ და ასე არ გამოგვდის
ადრე ლამაზ ავეფხუ ვფიქრობდით
რემონტზე და ეგეთ რამეებზე
ახლა ვფიქრობთ იმაზე, რომ ჩვენი სარდაფი გამოუსადეგარია
ვერ დაგვიფარავს და თავზე დაგვემსობა ყველაფერი
ამას გარეთ ფაღომა ფაღია

მატრასები და ბალიშები ძირს დავაფინეთ
რათა როგორც კი დაიწყება ზედ დავეცეთ და გავწვეთ
ასეც იყო: ვეცემოდით და ვწვებოდით

ქმარი ადგილზე დარჩა, ვიდაც ხომ უნდა იყოს სახლში
რომ უკან მისაბრუნებელი გვექონდეს
მართალია, ისედაც ყველაფერი გაუგებარია
მაგრამ იცავს, რათა არავინ ჩასახლდეს,

რათა ნივთები არ დაიტაცონ

კვირაში ერთხელ რეკავს რომელიღაც
მრავალსართულიანიდან
სადაც გაჭირვებით იჭერს მობილურით
ორ სიტყვას მეუბნება და თიშავს
მე ცოცხალი ვარ
და შაბათს მის ზარს ველოდები

როცა ქუჩაში ჩაივლიდა
 კვადროციკლი ზედ დამაგრებული ნადმსატყორცნით
 არ ვეკითხებოდით, ვინა ხართ,
 ვის მხარეზე ხართ

უბრალოდ ძირს ვეცემოდით ხოლმე
 ბაზრისკენ გზაზე კი თავზემთ ტყვიები სტვენდნენ
 ჩვენ აქ ერთი ჭრელი ჩანთით ჩამოვედით
 ხალხიც კი ვერ ეტეოდა, სად იყო ნივთების ადგილი

ქალი ამბობს, რომ აგვისტოს ჰაერი
 ფანჯრიდან აღწევს
 ეზოში ქლიავი გადამწიფდა
 თანამშრომლები ათვალიერებენ, კრეფენ
 ამბობენ, რომ შარშან განსაკუთრებით გემრიელი იყო,
 წელს
 დაგვიანებულია უკვე

მე ვუსმენ და ვერ ვხვდები
 არის თუ არა ასე, რომ
 თუ არსებობს ფოფოხეთი და სამოთხე,
 მათ ერთმანეთს აშორებს გზა
 პირთამდე გაჭედილი ავტობუსით,
 და თუ არსებობს ფოფოხეთი და სამოთხე –
 სადაც სიჩუმეში გადამწიფებას იწყებს ქლიავი,
 სადაც ეცემიან ძირს ბალიშებზე,
 მაშინ ჩვენ სიკვდილისშემდგომი არსებობის
 პირველ წამებს ვითვლით

სერკი ჟადანი	9
*** ერთი ნაცნობი მოხალისედ წავიდა ომში.....	10
*** აი, ასეთი ოფიან აქვთ ახლა.....	12
ლიუბა იაკიმოვი	15
გაუპარსავი ფეხი.....	16
როგორ ავაწყოთ ქალი.....	18
დონბასის ბარბარი (პოემის ფრაგმენტები)	
სახის ნახშირი.....	20
მკერდის მიწაყრილები.....	22
გარგარები ჩაჩქანებში.....	24
ჩემი ბებოს ზღაპარი.....	26
ანგელოზების წიგნი.....	28
სიბერისაგან.....	30
სარიტუალო მომსახურება.....	31
ბორის ხერსონსკი	33
*** ჩვენს დასახიჩრებულ სახლში ძმამ	
მოიყვანა ომი.....	34
სიგიჟის ჭა.....	35
წიგნიდან „ასალი ბუნებრივმეტყველი“	
თუთიყუმი.....	38
ჭიაყელა.....	39

კალინა კრუკი	41
ინგებორგ ბახმანის სიკვდილთან შეთამაშება.....	42
ჩვენი შემოდგომა პაწაწინა ხეებთან ერთად.....	43
*** არსებობს ადამიანურ ურთიერთობათა ასეთი ფორმა.....	44
*** მე გავსენი ბოლო კარი.....	45
*** ხანდახან ჩემთან შემოდის ჩეჩენი შაჰიდი ქალი.....	47
*** ბევრი ნივთი იმაზე აღრე ქრება.....	49
*** აი, ბანქოს ქაღალდებისგან აშენებული შენი სახლი.....	50
*** ხდება ხანდახან: დამცავი სარქველის გარეშე ქმნის.....	51
მარიანა კიანოვსკა	53
*** მძივი გაწყვიტა სიკვდილმა.....	54
ორი ლექსი, მიძღვნილი მილოშისადმი.....	55
*** პალატაში ისეა როგორც ჩიტის ბუდეში.....	57
*** უდაბნო, მშვიერი თავებით ქვიშის.....	58
*** ცული ვარ ხეს რომ ჩენს.....	60
*** ზღაპარს მოგიტხრობ გოგონაზე.....	61
*** ეს პირველად გალისიური.....	62

ვასილ მახნო	63
ფიესტის შესახებ	64
ისტორიის კერძო კომენტარი	67
მარტოობის ასი წელიწადი აურელიანო ბუენდიასთან	68
ძაფი	72
*** უკრაინელმა პოეტმა	75
იეგუდა ამისაი	78
ანდრი ლიუბკა	81
ნირვანა	82
მწიარული სიმღერა ხელოვნების მარადიულობაზე	84
როგორ ვწერ მე?	86
შანსონი	88
ავიტამინოზი	90
ანასტასია აფანასივა	93
*** ქალი ამბობს	94

საპენსიონო საპროგრამოებზე გამოცემა
თითოეულ წიგნში გადახდილი თანხა სრულად ირიცხება
უკრაინელი ხალხის დახმარების ფონდში

თანამედროვე უკრაინელი პოეტები

Сучасні українські поети

სერჰი ჟადანი
ლიუბა იაკიმჩუკი
ბორის ხერსონსკი
ჰალინა კრუკი
მარიანა კიანოვსკა
ვასილ მახნო
ანდრი ლიუბკა
ანასტასია აფანასიევა

Сергій Жадан
Люба Якимчук
Борис Херсонський
Галина Крук
Маріанна Кіяновська
Василь Махно
Андрій Любка
Анастасія Афанасьєва



დაბეჭდილია საქართველოში



პალიტრა L

გამომცემლობა

